ხელშეკრულება №23

13 მარტი 2017 წ.

ქ. ნინოწმინდა

ერთი მხრივ ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი (შემდგომში - „შემსყიდველი"), წარმოდგენილი მისი გამგებლის გაგიკ კარსლიანის სახით და მეორე მხრივ შპს „ეტალონი-მედია" (შემდგომში - „მიმწოდებელი"), წარმოდგენილი მისი დირექტორის მანანა ღოღობერიძის სახით, ხელმძღვანელობენ რა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე–3 მუხლის 1–ლი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად, ვდებთ ხელშეკრულებას შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საგანია საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატ „ეტალონი" 2017-ის ჩატარება ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში და მასში შემსყიდველის სკოლების მოსწავლეების მონაწილეობა;
1.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება განხორციელდება 2017 წლის 13 მარტს, შემსყიდველის მიერ წინასწარ შერჩეულ და შეთანხმებულ ლოკაციაზე. (CPV80400000)

2. უფლებები და ვალდებულებები

2.1 შემსყიდველს უფლება აქვს:
2.1.1. მოსთხოვოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ჯეროვანი, დროული და კეთილსინდისიერი შესრულება.
2.2. შემსყიდველი ვალდებულია:
2.2.1. უზრუნველყოს კონკურსის შემოქმედებით ჯგუფთან ერთად ინტელექტუალური კონკურსის ჩატარების ადგილის შერჩევა და მისი შესაბამისი ინვენტარით და ტექნიკური საშუალებებით აღჭურვა.
2.2.2. დაიცვას ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობები;
2.3. მიმწოდებელს უფლება აქვს:
2.3.1. მოსთხოვოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების ღირებულების ანაზღაურება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად.
2.3.2. მოითხოვოს შემსყიდველისგან ხელშეკრულებების სხვა პირობების დაცვა.
2.4. მიმწოდებელი ვალდებულია:
2.4.1. უზრუნველყოს ინტელექტუალური კონკურსისთვის კითხვების მომზადება, კონკურსის ადგილზე ჩასატარებლად სპეციალური კომპიუტერული ტექნიკის ჩატანა-გამართვა;
2.4.2. ინტელექტუალური კონკურსის ჩატარება განახორციელოს სოციალურ-საგანმანათლებლო მედიაპროექტ „ეტალონის" პრინციპით, კონკურსი ჩაატაროს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ტექნიკურმა და შემოქმედებითმა ჯგუფმა.
2.4.3. საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატ „ეტალონი" 2017-ის ნინოწმინდის მუნიციპალიტეტში ჩატარებას გაუძღვეს „ეტალონის" ავტორი და წამყვანი გოჩა ტყეშელაშვილი.

3. ანგარიშწორება და ანაზღაურების წესი

3.1. აღნიშნული ხელშეკრულებით შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურების ღირებულება განისაზღვრება 2960 (ორი ათას ცხრაას სამოცი) ლარით (თანხა ითვალისწინებს ყველა სახელმწიფო გადასახადს);
3.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული თანხის ანაზღაურება განხორციელდება ღონისძიების ჩატარებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

4. ხელშეკრულების მოქმედების ვადები

4.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა მიერ მასზე ხელის მოწერის დღიდან და მოქმედებს 2017 წლის 31 დეკემბრამდე.
4.2. ხელშეკრულების ვადამდე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ორმხრივი შეთანხმებით.

5. ფორს-მაჟორული სიტუაციები

5.1. მხარეები თავისუფლდებიან საკუთარი ვალდებულებების სრულად ან ნაწილობრივ შესრულებისაგან, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებით;
5.2. მხარემ, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოებები, აღნიშნულის შესახებ დაუყოვნებლივ უნდა აცნობოს მეორე მხარეს;
5.3. ფორს-მაჟორული პირობების დადგომა დამტკიცებული უნდა იქნას დადგენილი წესით.

6. დამატებითი პირობები

6.1. ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა დასაშვებია მხოლოდ მხარეთა წინასწარი წერილობითი შეთანხმებით, რომელიც დაერთვის ხელშეკრულებას და ხდება მისი განუყოფელი ნაწილი. ცალმხრივად შეტანილ ცვლილებებს იურიდიული ძალა არა აქვს;
6.2. საკითხები, რომლებიც არ არის განსაზღვრული წინამდებარე ხელშეკრულებით, დარეგულირდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;
6.3. მხარეები მათ შორის წამოჭრილ ყველა დავას გადაწყვეტენ მოლაპარაკებისა და ურთიერთშეთანხმების გზით. თუ მხარეები ვერ მორიგდნენ, დავას წყვეტს სასამართლო;
6.4. ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ორ ეგზემპლარად, ორივე მხარემ მიიღო თითო ეგზემპლარი.

7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

შემსყიდველი ნინოწმინდის მუნიციპალიტეტი მისამართი: ქ. ნინოწმინდა, პუშკინის ქ. #43 ს/კ 236689669 ს/ს ,,ლიბერთი ბანკის'' ნინოწმინდის ფილიალი ბანკის კოდი LBRTGE22 ა/ნ GE51LB0120146252122000 გამგებელი /ბ.კარსოიანი/	მიმწოდებელი შპს „ეტალონი-მედია“ თბილისი, წერეთლის გამზირი #116, დიდუბე პლაზა, ოფისი #201 ს/კ 204572024 სს „ბანკი ქართუ“ კოდი CRTUGE22 ა/ა GE08CR0030086101003608 დირექტორი /მ.ღოღობერიძე/